ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №92

2011 წლის 12 აგვისტო
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №-154 განკარგულებით დამტკიცებული „2011 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა-განრიგში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №-154 განკარგულებით დამტკიცებული „2011 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა – განრიგში“ შევიდეს ცვლილება თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე